პროლეტარეზო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

29 დეკემბერი შაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 303 (15820)

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ სოფლის მეურნეობის მუშაკნი მიღწეულს არ დასჯერდებიან, უფრო ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას 1974 წელსა და მომდევნო წლებში სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და ვალდებულებათა შესრულებისათვის.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურ საბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს 1973 წელს მარცვლეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებისათვის სოფლის მეურნეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და ამ საკითხზე მიიღეს დადგენილება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი დიდად აფასებენ კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელის თავდადებულ გარჯას, რომლებმაც მოიწიეს უხვი მოსავალი, შეასრულეს მარცვლეულის, მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის და საკვების დამზადების გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი, აღნიშნავენ მრეწველობის, ტრანსპორტის, დამამზადებელი ორგანიზაციების, ჯარის ქვეგანაყოფების, სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას მოსავლის აღებასა და მარცვლეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების დამზადებაში, ჯეროვნად აფასებენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მრავალმხრივ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას 1973 წელს სოფლის მეურნეობაში შეჯიბრების ხელმძღვანელობისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა 1973 წელს მარცვლეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებისათვის გაშლილ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებში გამარჯვებულად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშებით დაჯილდოვეს და ფულადი პრემიები მიანიჭეს შემდეგ მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებს, მხარეებს, ოლქებსა და რაიონებს:

მოკავშირე რესპუბლიკები

რუსეთის სფსრ
უკრაინის სსრ
ბელორუსიის სსრ
უზბეკეთის სსრ
ყაზახეთის სსრ
თურქმენეთის სსრ
მოლდავეთის სსრ
აზერბაიჯანის სსრ
ლიტვის სსრ
ტაჯიკეთის სსრ
ყირგიზეთის სსრ

ავტონომიური რესპუბლიკები, მხარეები, ოლქები

რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში: ყაბარდო-მალყარეთის ასსრ, მორდვეთის ასსრ, ჩუვაშეთის ასსრ, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები, ასტრახანის, ბრიანსკის, ვოლგოგრადის, ვორონეჟის, გორკის, კუიბიშევის, ლენინგრადის, ლიპეცკის, მოსკოვის, პენზის, როსტოვის, რიაზანის, სარატოვის, ტამბოვის, ულიანოვსკისა და ჩიტის ოლქები;

უკრაინის სს რესპუბლიკაში: დნეპროპეტროვსკის, დონეცკის, ზაპოროჟიეს, კიროვოგრადის, ნიკოლაევის, ოდესის, პოლტავის, ხარკოვისა და ხერსონის ოლქები;

ბელორუსიის სს რესპუბლიკაში: გროდნოსა და მინსკის ოლქები;

უზბეკეთის სს რესპუბლიკაში: ყარაყალპაკეთის ასსრ, ანდიჟანისა და სირდარიის ოლქები;

ყაზახეთის სს რესპუბლიკაში: ალმა-ათის, კოქჩეტავის, ჩრდილოეთ ყაზახეთის, თურგაისა და ცელინოგრადის ოლქები;

საქართველოს სს რესპუბლიკაში: აჭარის ასსრ;

ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში: ოშის ოლქი;

ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში: ლენინაბადის ოლქი;

რაიონები

რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში: ალტაის მხარის ბურლის, ვოლჩიხის, კალმანკის, მიხაილოვსკის, სმოლენსკოეს, სოვეტსკოეს, ტროიცკოეს და უგლოვკოეს რაიონები;

კრასნოიარსკის მხარის აბინსკის, ბელაია გლინის, კავკაზსკის, კრასნოარმეისკის, ლენინგრადსკის, შოვგენოვსკის (ადიღეს ავტონომიური ოლქი) რაიონები;

კრასნოიარსკის მხარის მინუსინსკის, უჟურის, შარიპოვოსა და ორჯონიკიძის (ხაკასეთის ავტონომიური ოლქი) რაიონები;

სტავროპოლის მხარის იზობილნის, იპატოვოს, მინერალნიე ვოდის, პეტროვსკის, სოვეტსკის, შპაკოვსკოეს და ადიღე-ხაბლის (ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი) რაიონები;

ხაბაროვსკის მხარის ხაბაროვსკის რაიონი;

არხანგელსკის ოლქის პრიმორსკის რაიონი;

ასტრახანის ოლქის ხარაბალის რაიონი;

ბელგოროდის ოლქის ვეიდელევკისა და როვენკის რაიონები;

ბრიანსკის ოლქის პოგარის რაიონი;

ვლადიმირის ოლქის სუზდალის რაიონი;

ვოლგოგრადის ოლქის ელანის, ყირნოვსკის, კამიშინის, კოტოვსკის, კოტელნიკოვოს, ოქტიაბრსკის, სტარაია პოლტავკისა და ჩერნიშკოვსკის რაიონები;

ვოლოგდის ოლქის ვოლოგდის რაიონი;

ვორონეჟის ოლქის ანის, ლისკინსკის, ნიჟნედევიცკისა და როსოშის რაიონები;

გორკის ოლქის კრასნოოქტიაბრსკისა და პილნის რაიონები;

ივანოვოს ოლქის გავრილოვ პოსადის რაიონი;

ირკუტსკის ოლქის ირკუტსკისა და ნინუნეუდინსკის რაიონები;

კალინინგრადის ოლქის გურიევსკის რაიონი;

კალინინის ოლქის სანდოვოსა და სონკოვოს რაიონები;

კალუგის ოლქის კიროვის რაიონი;

კოსტრომის ოლქის ნერეხტის რაიონი.

კუიბიშევის ოლქის ბოლშაია გრუშჩინის, პესტრავკის, სტავროპოლისა და სიზრანის რაიონები;

კურგანის ოლქის კეტოვოს, პრიტობოლნისა და შადრინის რაიონები;

კურსკის ოლქის გორშეჩნოესა და კასტორნოეს რაიონები;

ლენინგრადის ოლქის ვსევოლოჟსკის რაიონი;

ლიპეცკის ოლქის დობრინკისა და ლიპეცკის რაიონები;

მოსკოვის ოლქის დმიტროვის, ლუმერტისა და რამენსკის რაიონები;

ნოვგოროდის ოლქის ნოვგოროდის რაიონი;

ნოვოსიბირსკის ოლქის დოვოლნოეს, კოჩეკის, ნოვოსიბირსკისა და ტატარსკის რაიონები;

ომსკის ოლქის კალაჩინსკის, ლუბინსკის, ოკონეშნიკოვისა და ტარის რაიონები;

ორენბურგის ოლქის ადამოვკის, ბუზულუკის, ნოვოსერგიევკის, სარაკტაშის, სოლ-ილეცკის, სოროჩინსკისა და ტოცკოეს რაიონები;

ორიოლის ოლქის გლაზუნოვკისა და ლივნის რაიონები;

პენზის ოლქის ბაშმაკოვოს, კამენსკისა და კოლიშლეის რაიონები;

პერმის ოლქის პერმის რაიონი;

პსკოვის ოლქის პალკინოს რაიონი;

როსტოვის ოლქის აზოვის, ზერნოგრადის, ზიმოვნიკის, კრასნი სულინის, მილეროვოს, ოქტიაბრსკის, ორლოვსკისა და სალსკის რაიონები;

რიაზანის ოლქის სარაისა და მაცკის რაიონები;

სარატოვის ოლქის ბალაშოვის, ერშოვის, კალინინის, მარქსის, რომანოვკის, სამოილოვკის, ხვალინსკისა და ენგელსის რაიონები;

სახალინის ოლქის უგლეგორსკის რაიონი;

სვერდლოვსკის ოლქის სისერტის რაიონი;

სმოლენსკის ოლქის რუდნიისა და ხისლავიჩის რაიონები;

ტამბოვის ოლქის მორდოვოს, მორშანსკისა და ტამბოვის რაიონები;

ტომსკის ოლქის კოუევნიკოვოს რაიონი;

ტულის ოლქის არსენიევისა და კიმოვსკის რაიონები;

ტიუმენის ოლქის ზავოდოუკოვსკისა და ისეტსკოეს რაიონები;

ულიანოვსკის ოლქის სტარა კულატკის, ულიანოვსკის, ცილნისა და ჩერდაკლის რაიონები;

ჩელიაბინსკის ოლქის აგაპოვკის, ტროიცკისა და ჩესმის რაიონები;

ჩიტის ოლქის კალგის რაიონი;

იაროსლავლის ოლქის გავრილოვ-იამის რაიონი;

ბაშკირეთის ასს რესპუბლიკის აბზელილოვსკის, იშიმბაის, კარმასკალისა და მელეუზის რაიონები;

ბურიატეთის ასს რესპუბლიკის ბარგუზინის რაიონი;

დაღესტნის ასს რესპუბლიკის ყიზლარის რაიონი;

ყაბარდო-მალყარეთის ასს რესპუბლიკის პროხლადნის რაიონი;

ყალმუხეთის ასს რესპუბლიკის გოროდოვიკოვსკის რაიონი;

კარელიის ასს რესპუბლიკის სორტავალის საქალაქო აღმასკომი;

მარეთის ასს რესპუბლიკის გორნომარიისკის რაიონი;

მორდვეთის ასს რესპუბლიკის არდატოვისა და იჩალკოვსკის რაიონები;

ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის კიროვის რაიონი;

თათრეთის ასს რესპუბლიკის აპასტოვოს, ბუინსკისა და დროჟანოეს რაიონები;

ტუვის ასს რესპუბლიკის პიი-ხემსკის რაიონი;

ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასს რესპუბლიკის შალის რაიონი;

ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკის კომსომოლსკოესა და პორეცკოეს რაიონები;

უკრაინის სს რესპუბლიკაში: ვოლინის ოლქის მანევიჩის რაიონი;

ვოროშილოვგრადის ოლქის ანტრაციტისა და ლუტუგინოს რაიონები;

დნეპროპეტროვსკის ოლქის დნეპროპეტროვსკის, მაგდალინოვკის, მეჟევაიას და ნოვომოსკოვსკის რაიონები;

დონეცკის ოლქის ნოვოაზოვსკის, სტარობეშევოსა და ტელმანოვოს რაიონები;

ჟიტომირის ოლქის ბერდიჩევისა და ჟიტომირის რაიონები;

იმიერკარპატეთის ოლქის ირშავის რაიონი;

ზაპოროჟიეს ოლქის ვესელოეს, ზაპოროჟიეს, კამენსკ-დნეპროვსკაიას, მიხაილოვკისა და პრიმორსკოეს რაიონები;

ივანო-ფრანკოვსკის ოლქის გოროდენკის რაიონი;

კიევის ოლქის ბორისპოლის, რაკიტნოესა და ფასტოვის რაიონები;

კიროვოგრადის ოლქის დოლინსკაიას, კომპანეევკის, პეტროვოსა და ულიანოვკის რაიონები;

ყირიმის ოლქის ჯანკოის, კიროვსკოესა და ლენინოს რაიონები;

ლვოვის ოლქის ბუსკის რაიონი;

ნიკოლაევის ოლქის ბრატსკოეს, ნიკოლაევის, ნოვი ბუგისა და ოჩაკოვის რაიონები;

ოდესის ოლქის ბელგოროდ-დნესტროვსკის, ბელიაევკის, ველიკაია მიხაილოვკისა და რაზდელნაიას რაიონები;

პოლტავის ოლქის გლობინოს, კარლოვკის, ხემენოვკისა და ხოროლის რაიონები;

როვნოს ოლქის ვლადიმირეცკის რაიონი;

სუმის ოლქის ველიკაია პისარევკისა და მოსტკის რაიონები;

ხარკოვის ოლქის იზიუმის, კრასნოკუტსკის, ნოვაია ვოდოლაგისა და სახნოვშინის რაიონები;

ხერსონის ოლქის ბელოზერკის, ბერისლავის, ნოვოვორონცოვკისა და ნოვოტროიცკოეს რაიონები;

ხმელნიცკის ოლქის სლავუტის რაიონი;

ჩერკასის ოლქის სმელის, ჩერკასისა და ჩერნობაის რაიონები;

ჩერნიგოვის ოლქის ბორზნისა და მენის რაიონები;

ჩერნოვცის ოლქის ნოვოსელიცის რაიონი;

ბელორუსიის სს რესპუბლიკაში: ბრესტის ოლქის ლიახოვიჩისა და სტოლიკის რაიონები;

ვიტებსკის ოლქის დოკშიცისა და პოსტავის რაიონები;

გომელის ოლქის ბრაგინისა და დობრუშის რაიონები;

გროდნოს ოლქის, ვორონოვოსა და კორელიჩის რაიონები;

მინსკის ოლქის მოლოდეჩნოს, სლუცკისა და სოლიგორსკის რაიონები;

მოგილიევის ოლქის კიროვსკისა და მსტისლავლის რაიონები;

უზბეკეთის სს რესპუბლიკაში: ანდიჟანის ოლქის ლენინსკისა და პახტააბადის რაიონები;

ბუხარის ოლქის ვაბკენტის რაიონი;

ყაშქა-დარიის ოლქის ყარშის რაიონი;

ნამანგანის ოლქის ჩუსტის რაიონი;

სამარყანდის ოლქის პახტაჩის რაიონი;

სურხან-დარიის ოლქის ჯარკურგანის რაიონი;

სირდარიის ოლქის ჯიზაკისა და ფახთაქორის რაიონები;

ტაშკენტის ოლქის აკურგანის რაიონი;

ფერგანის ოლქის კუვისა და ლენინგრადსკის რაიონები;

ხორეზმის ოლქის კოშკუპირის რაიონი;

ყარაყალპაკეთის ასს რესპუბლიკის ტურტყულის რაიონი;

ყაზახეთის სს რესპუბლიკაში: აქტიუბინსკის ოლქის ლენინსკის რაიონი;

ალმა-ათის ოლქის ილიისკის რაიონი;

აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქის ზირიანოვსკის საქალაქო აღმასკომი;

ყარაღანდის ოლქის ნურინის რაიონი;

ყზილ-ორდის ოლქის ჯალაგაშის რაიონი;

კოქჩეტავის ოლქის არიკბალიკის, კუიბიშევსკისა და რუზაევკის რაიონები;

კუსტანაის ოლქის კომსომოლეცკისა და ურიცკის რაიონები;

პავლოდარის ოლქის ირტიშსკის რაიონი;

ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქის ვოზვიშენკისა და სევეტსკის რაიონები;

სემიპალატინსკის ოლქის ბოროდულიხის რაიონი;

ტალდი-კურგანის ოლქის კიროვსკის რაიონი;

თურგაის ოლქის ჟაქსის რაიონი;

ურალის ოლქის ბურლინსკის რაიონი;

ცელინოგრადის ოლქის ალექსეევკისა და ერმენტაუს რაიონები;

ჩიმკენტის ოლქის საირამის რაიონი;

საქართველოს სს რესპუბლიკაში: აბაშის, გორის, მახარაძის, ხობის და წითელწყაროს რაიონები;

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში: ლენქორანის, ნეფთეჭალის, პუშკინოს, სალიანისა და შემახის რაიონები;

ლიტვის სს რესპუბლიკაში: კლაიპედის, კუპიშკის, რადვილიშკისის, როკიშკისის და შვენჩიონისის რაიონები;

მოლდავეთის სს რესპუბლიკაში: გრიგორიოპოლის, სლობოდზეის, სუვოროვოს, უნგენის, ფალეშტისა და ჩადირ-ლუნგის რაიონები;

ლატვიის სს რესპუბლიკაში: დაუგავპილსის, დობელისა და რიგის რაიონები;

ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში: მოსკოვსკის, სოკულუკის და ტოქტოგულის რაიონები;

ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში: პარხარის, შაარტუზის, პროლეტარსკისა და ხოჯენტის რაიონები;

სომხეთის სს რესპუბლიკაში: ახურიანის, მასისისა და ტალის რაიონები;

თურქმენეთის სს რესპუბლიკაში: ბაირამ-ალის, კუნია-ურგენჩისა და ჩარჯოუს რაიონები;

ესტონეთის სს რესპუბლიკაში: იიგევისა და პაიდეს რაიონები;

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშებითა და ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ 187 კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოს კოლექტივები. მათგან:

რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში —	87,
ბელორუსიის სს რესპუბლიკაში —	11,
ყაზახეთის სს რესპუბლიკაში —	10,
აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში —	4,
მოლდავეთის სს რესპუბლიკაში —	3,
ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში —	2,
სომხეთის სს რესპუბლიკაში —	3,
ესტონეთის სს რესპუბლიკაში —	3,
უკრაინის სს რესპუბლიკაში —	39,
უზბეკეთის სს რესპუბლიკაში —	6,
საქართველოს სს რესპუბლიკაში —	5,
ლიტვის სს რესპუბლიკაში —	6,
ლატვიის სს რესპუბლიკაში —	4,
ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში —	2,
თურქმენეთის სს რესპუბლიკაში —	2,

მათ შორის **საქართველოს სს რესპუბლიკაში:**

აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის სკკპ XXIV ყრილობის სახელობის კოლმეურნეობა, ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, წალენჯიხის რაიონის წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადებით მიმართეს: პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს ღრმად გააანალიზონ 1973 სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგები, განაზოგადონ სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული მოწინავე მეურნეობებისა და რაიონების გამოცდილება, გაავრცელონ მათი მუშაობის ხერხები და მეთოდები, რისთვისაც ფართოდ გამოიყენონ რადიომაუწყებლობა და ტელევიზია, პერიოდული პრესა და მასობრივი პროპაგანდისა და ინფორმაციის სხვა საშუალებანი, დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ჩამორჩენილი მეურნეობების საქმიანობის გასაუმჯობესებლად, გაუწიონ მათ მუდმივი დახმარება წარმოების განვითარების დაჩქარების, ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების საქმეში.

• • •

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ ულოცავენ რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, რაიონების სოფლის მეურნეობის მუშაკებს, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კოლექტივებს — სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთ, აგრეთვე შეჯიბრების ყველა მონაწილეს, გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ სოფლის მეურნეობის მშრომელნი მიღწეულს არ დასჯერდებიან, უფრო ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას 1974 წელსა და მომდევნო წლებში, რათა შეასრულონ სახალხო-სამეურნეო გეგმები მარცვლეულის, ხამი ბამბის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ვალდებულებანი, განამტკიცებენ და გადააჭარბებენ მიღწეულ მიჯნებს, თავიანთ წვლილს შეიტანენ მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულების საქმეში.

დავიცვათ ვენახები და ციგრუსის ბაღები ყინვისაგან

1971-1973 წლის სუსხიანმა ზამთარმა საქართველოს ვენახებსა და ციტრუსის მეურნეობას უდიდესი ზიანი მიაყენა. კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და რესპუბლიკის გადამმუშავებელ მრეწველობას ათობით მილიონი მანეთის ზარალი მოუვიდათ. დაბალი ტემპერატურის დამღუპველი გავლენისაგან ვენახებისა და ციტრუსის პლანტაციების დაცვა დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა.

ყინვისაგან ვენახებისა და ციტრუსის პლანტაციების დაცვის პრობლემას მიეძღვნა 27 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირი. თათბირში მონაწილეობდნენ საქართველოს სამეცნიერო სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებისა და მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელები, სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები, პარტიის რაიკომების მდივნები, მევენახეობისა და მეციტრუსეობის მსხვილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თავმჯდომარეები და დირექტორები, სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროთა, „საქსოფლტექნიკის“ პასუხისმგებელი მუშაკები, რესპუბლიკური გაზეთების რედაქტორები.

ინფორმაცია გააკეთეს სოფლის მეურნეობის მინისტრმა **ი. რთველიაშვილმა** და საბჭოთა მეურნეობების მინისტრმა **მ. ლეონიძემ.** აზრთა გაზიარების დროს გამოვიდნენ ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **თ. დავითაია,** სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი **ვ. მეტრეველი,** ამიერკავკასიის მეტეოროლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის აგრომეტეოროლოგიური განყოფილების გამგე **შ. ცერცვაძე,** რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **გ. ზედგენიძე,** საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამმართველოს მთავარი აგრონომი **ი. ლეკვეიშვილი,** საბჭოთა კავშირის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ციტრუსების სელექციის განყოფილების გამგე **შ. გოლიაძე,** ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **თ. თურმანიძე,** მახარაძის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **გ. წოლიძე,** პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი **შ. ეცადაშვილი,** საბჭოთა კავშირის სამთო სასოფლო-სამეურნეო მანქანების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე **ნ. გაბუნია,** საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პროფესორი **ფ. მამფორია,** კოხორის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **გ. ჩარიბაია,** გაგრის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **გ. ქირია.**

ქართველმა მეცნიერებმა, სპეციალისტებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ნოვატორებმა შეიმუშავეს და იყენებენ ყინვისაგან ციტრუსების ბაღების მოელ რიგ ხერხებს. ასეთია, მაგალითად, ხეების შეფუთვა უქსოვი მასალებით, მათი გადაფარვა კარკასებით, მცენარის ტანის ირგვლივ მიწის დაზვინვა, გაზის სათბუნებლებით და ჩამოწერილი თვითმფრინავების რიგიტიული ძრავებით პლანტაციების პაერის გათბობა და სხვ. სელექციონერები ბეურს მუშაობენ ყინვამედეგი ჯიშისა და სახეობის ციტრუსების გამოსაყვანად. ჩვენ უკვე გვაქვს რამდენიმე ჯიშის ლიმონი, მანდარინი და ფორთოხალი, რომლებიც გამოიყენება პროფილორმა ფ. მამფორიამ. ისინი მნიშვნელოვნად უკეთ უძლებენ ყინვას და მაღსეკოს.

მაგრამ დღემდე შექმნილი არ არის კრიზისული ტემპერატურებისაგან ნარგავების საიმედო დაცვა. გაჭიანურდა ახალი ჯიშის ციტრუსების ფართო საწარმოო გამოცდა. უფრო მეტიც, ყინვისაგან ნარგავების დაცვის ეკალეიფო ხერხები ჩანასახის მდგომარეობაშია, სხვა ხერხები წლობით გადიან გამოცდას საცდელ ნაკვეთებზე, ბუნებრივია მათ პრაქტიკულად არ იყენებენ.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ მთელ რიგ რაიონებში ახალ ვენახებს ზოგჯერ ისე აშენებენ, რომ არ ითვალისწინებენ ამა თუ იმ მიკრორაიონს, ნაკვეთის კლიმატურ პირობებსა და ადგილის რელიეფს, მხედველობაში არ იღებენ, თუ რა დონემდე შეიძლება დაეცეს ტემპერატურა სწორედ იქ, სადაც ეს მოსალოდნელია.

ვაზის, ციტრუსის ნარგავების, აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ყინვამედეგობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად განხორციელდა მათი მოვლის აგროტექნიკური ღონისძიებანი. ჯანსაღი, კარგად განვითარებული ხეები და ვაზები უფრო ამტანია, ვიდრე სუსტი და ავადმყოფი. ამავე დროს ნარგავების მოვლის, ნიადაგში საჭირო დონით მინერალური და ორგანული სასუქების შეტანის საქმეს უყურა მეურნეობაში როდი ეთმობა ჯეროვანი ყურადღება.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნდა შეიქმნას დიდად კომპეტენტური ორგანო — ყინვისაგან ნარგავების დაცვის არსებული ხერხების ეფექტიანობის შესწავლის, მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მიერ რეკომენდებული ახალი ხერხების ფართო გამოცდის კომისია. მეცნიერებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა უნდა შეიმუშაონ სტიქიური უბედურებათა წინააღმდეგ ბრძოლის საიმედო სისტემა, რადგან სტიქიური უბედურება უდიდეს ზიანს აყენებს ვენახებსა და ციტრუსის ბაღებს.

ახლა რაიონულმა პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა მთელი თავიანთი ყურადღება, მთელი თავიანთი ძალ-ღონე უნდა მოახმარონ ვენახებისა და ციტრუსის ბაღების მოვლის სამუშაოთა ყოველმხრივ და გულმოდგინე ჩატარებას. უნდა გამოვიყენოთ შესაძლო ყინვასთან ბრძოლის ყველა ხერხი. ნარგავებისათვის კრიზისულ პერიოდებში — ტემპერატურის ძლიერი შემცირების, დიდი თოვის დროს ვენახებსა და ციტრუსის ბაღებში უნდა გავიდნენ არა მარტო საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მშრომელები, არამედ ადგილობრივი საწარმოების, დაწესებულებების მუშაკებიც, უფროსი კლასის მოსწავლეებიც. ვენახებისა და ციტრუსის ბაღების დაცვისადმი გულგრილი არავინ არ უნდა დარჩეს. ეს უპირველესი მნიშვნელობის საქმეა.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. შევარდნაძემ.**

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ზ. გელდიაშვილი,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე **ფ. დულაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა მუდმივ კომისიაში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის, დეპუტატ ვ. მაისურაძის მოხსენება საქართველოს სსრ წყლის კოდექსის პროექტის შესახებ.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ წყლის კოდექსის პროექტი შედგენილია სსრ კავშირის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად. იგი წინასწარ განსახილველად დაგზავნა საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, რომლებმაც წარმოადგინეს თავიანთი შენიშვნები და წინადადებანი.

კომისიამ მოიწონა კოდექსის პროექტი და დაადგინა, განსახილველად გამოიტანოს იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე.

კომისიამ მოისმინა აგრეთვე დეპუტატ ი. ელოშვილის მოხსენება მშენებლობის, საშენ მასალათა მრეწველობის, სასოფლო მშენებლობის, საავტომობილო გზების სამინისტროთა საწარმოებში, „საქქვანახშირის“ კომბინატში, რუსთავის ქიმიურ კომბინატსა და რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ქალთა შრომის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ ქალთა შრომის კანონმდებლობის შესაბამისად ხორცელდება მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ქალთა შრომის პირობების შემსუბუქებისათვის. მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად განხორციელდა მათი მოვლის აგროტექნიკური ღონისძიებანი. ჯანსაღი, კარგად განვითარებული ხეები და ვაზები უფრო ამტანია, ვიდრე სუსტი და ავადმყოფი. ამავე დროს ნარგავების მოვლის, ნიადაგში საჭირო დონით მინერალური და ორგანული სასუქების შეტანის საქმეს უყურა მეურნეობაში როდი ეთმობა ჯეროვანი ყურადღება.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნდა შეიქმნას დიდად კომპეტენტური ორგანო — ყინვისაგან ნარგავების დაცვის არსებული ხერხების ეფექტიანობის შესწავლის, მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მიერ რეკომენდებული ახალი ხერხების ფართო გამოცდის კომისია. მეცნიერებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა უნდა შეიმუშაონ სტიქიურ უბედურებათა წინააღმდეგ ბრძოლის საიმედო სისტემა, რადგან სტიქიური უბედურება უდიდეს ზიანს აყენებს ვენახებსა და ციტრუსის ბაღებს.

ახლა რაიონულმა პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა მთელი თავიანთი ყურადღება, მთელი თავიანთი ძალ-ღონე უნდა მოახმარონ ვენახებისა და ციტრუსის ბაღების მოვლის სამუშაოთა ყოველმხრივ და გულმოდგინე ჩატარებას. უნდა გამოვიყენოთ შესაძლო ყინვასთან ბრძოლის ყველა ხერხი. ნარგავებისათვის კრიზისულ პერიოდებში — ტემპერატურის ძლიერი შემცირების, დიდი თოვის დროს ვენახებსა და ციტრუსის ბაღებში უნდა გავიდნენ არა მარტო საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მშრომელები, არამედ ადგილობრივი საწარმოების, დაწესებულებების მუშაკებიც, უფროსი კლასის მოსწავლეებიც. ვენახებისა და ციტრუსის ბაღების დაცვისადმი გულგრილი არავინ არ უნდა დარჩეს. ეს უპირველესი მნიშვნელობის საქმეა.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. შევარდნაძემ.**

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ზ. გელდიაშვილი,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე **ფ. დულაშვილი.**

პარტიული ცხოვრება

მაამებლობისა და უპრინციპობის ნაყოფი

ზესტაფონის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე

საკმაოდ თავისებურია ზესტაფონის რაიონის ეკონომიკა. საქართველოში ალბათ იშვიათად მოიძებნება რაიონი, სადაც ასე იყოს შერწყმული სოფლის მეურნეობა და მრეწველობა. აქაური ფეროშენადნობები, ბაბელები, მარმარილო, ღვინოები, ქარგადაა ცნობილი უცხოეთშიც.

ასეთი მძლავრი სახალხო მეურნეობის გაძღოლა პარტიის რაიკომისაგან მოითხოვს მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას, ეკონომიკის ღრმად ცოდნას, ხელმძღვანელობის ხელოვნების დაუფლებას, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობას.

იმ შეცდომებსა და ნეგატიურ მოვლენებს, რაც დამკვიდრებული იყო საქართველოში, ვერ აცდა ზესტაფონის პარტიული ორგანიზაციაც. ბოლო წლებში აქ თავი იჩინა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, უკანონობის, მექრთამეობის, გამოძალვის, სახალხო ქონების დატაცების მავნე ტენდენციებმა. ნაკლოვანებების წაყრუებამ, დანაშაულის მიჩქმალვამ, მაამებლობა-შემწყნარებლობამ, უპრინციპობამ ზესტაფონში შექმნა მოჩვენებითი კეთილდღეობის, გულდამშვიდების ვითარება, რაც კარგად გამოიყენეს კერძომესაკუთრული ბუნების, გადაგვარებულმა ელემენტებმა.

პარტიის რაიკომის განახლებული ხელმძღვანელობა უკანასკნელ ხანს ასწორებს შეცდომებს, ამალებს კომუნისტთა აქტივობას, აწესებს პასუხისგებლობა-ბრძოლისუნარიანობას. თუმცა ჯერჯერობით გადადგმული მხოლოდ პირველი ნაბიჯები. წინ არის დიდი საშუალო პარტიის XXIV ყრილობის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმების, დადგენილებათა შესასრულებლად.

სწორედ ამ საკითხებზე იყო გაბედული საუბარი, პირუთვნელი ლაპარაკი ზესტაფონის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე, რომელსაც რაიკომის უკანასკნელი სამი წლის მუშაობის ანგარიში წარმოუდგინა რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. მერკვილაძემ.

რაიკომის საანგარიშო მოხსენებაში და მოკამათეთა გამოსვლებში აღნიშნული იყო, რომ კარგად მუშაობენ ფეროშენადნობთა და კაბელების ქარხნების კოლექტივები (დირექტორები ი. ცქიტიშვილი, დ. კუხიანიძე, პარტიული კომიტეტის მდივანი თ. კაკოიშვილი, პარტბიუროს მდივანი ო. ფერაძე). მაგრამ არადამაკმაყოფილებელია ელექტროელექტროენერგეტიკისა და საშენ მასალათა ქარხნების, სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივების (დირექტორები მ. კიკნაძე, ა. სალაძე, გ. რობაქიძე, პარტბიუროების მდივნები გ. ქვინიკაძე, ვ. ჯაფარიძე, ნ. ხაჭაპურიძე) საქმიანობა. არასაკმარისია სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპი. სამრეწველო საწარმოებმა შარშან ქვეყანას 6.270 ათასი მანეთის პროდუქცია დააკლეს. ჯერ კიდევ დაბალია საწარმო სიმძლავრეთა გამოყენებისა და წარმოების ეფექტიანობის დონე, დიდია ხოცდენები, წუნი. სათანადო ღონისძიებები არ ხორციელდება შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების კულტურის ამაღლების, თვითღირებულების შემცირების, პროდუქციის ხარისხის, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. თვით ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივიც კი, რომელიც გეგმებს ასრულებს, შარშან გადახარჯა 714 ათასი მანეთის, ხოლო წელს 362 ათასი მანეთის ნედლეული. ქარხანაში ბევრი-რამ გაკეთდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1973 წლის 19 ივნისის დადგენილების შესასრულებლად მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მაგრამ ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია. მეტალურგები მეტ მზრუნველობას იმსახურებენ და მოითხოვენ.

საწარმოებში მოისუსტებს პარტიული და შრომის დისციპლინა, სოციალისტურ შეჯიბრებაში კვლავ ავრძნობა ფორმალიზმი. სერიოზული ნაკლოვანებებია ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მშენებლობის მუშაობაში. საკმარისია ითქვას, რომ მშენებლებმა საანგარიშო პერიოდში ვერ აითვისეს 2.5 მილიონი მანეთი. „ზესტაფონმშენის“ სამმართველო (უფროსი ს. მახათაძე) აჭიანურებს ფეროშენადნობთა ქარხანაში აგლომერაციისა და დაბრიკეტების საწარმოთა მშენებლობას.

კონფერენციაზე ისიც დაფიქრავად ითქვა, რომ საწარმოებს კონკრეტულ დახმარება-ხელმძღვანელობას ვერ უწევენ საქართველოს სსრ საშენ მასალათა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროები.

ფრიად დამაფიქრებელი მდგომარეობაა მეევენახეობაში, რომელიც რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია. მეცხრე ხუთწლეულის განვლილ სამ წელში სახელმწიფოს მიეყიდა 62.814 ტონა ყურძენი, რაც გეგმასთან შედარებით 19.467 ტონით ნაკლებია. მარტო წელს ზესტაფონელებმა გეგმას დააკლეს 11.405 ტონა ყურძენი. ძალიან ჩამორჩენა სახოგადოებრივი მეევენახეობა. მისი მოვლა-პატრონობა. სახელმწიფოსათვის მიყიდული ყურძნის საერთო რაოდენობაში სახოგადოებრივი სექტორის ხვედრითი წილი 28-30 პროცენტს არ აღემატება. ეს მაშინ, როცა ვენახების ფართობი ორივე სექტორში თითქმის თანაბარია. მიმდინარე წელს 16 კოლმეურნეობიდან 11 კოლმეურნეობამ ვერ შეასრულა ყურძნის დამზადების გეგმა. სახოგადოებრივ მეურნეობებში წელს მოსავალმა საშუალოდ ჰექტარზე მხოლოდ 32 ცენტნერი შეადგინა, საკარმიდამო ნაკვეთებზე კი 20 ცენტნერით მეტი ყურძენი მოიყვანეს. რა გამართლება აქვს ამ მდგომარეობას, როცა სახოგადოებრივ სექტორს ჰყავს უაბრალო სპეციალისტი, მის განკარგულებაშია მძლავრი ტექნიკა, სასუქები, შხამქიმიკატები.

სახოგადოებრივი მეევენახეობის ჩამორჩენის ძირითადი მიზეზია აგროწესების უხეში დარღვევა, ვენახების დიდი სიმეჩხერე. მარტო სიმეჩხერით ყოველწლიურად იკარგება 1.700 ტონამდე ყურძენი. პარტიის რაიკომი, პირველადი ორგანიზაციები ხშირად მსჯელობენ სახოგადოებრივი მეევენახეობის განვითარებაზე, სათანადო დადგენილებებსაც იღებენ, მაგრამ პრაქტიკული ნაყოფი მცირე ჩანს. ასევე ითქმის მეცხოველეობაზე, ოღონ ძროხოვნობა ბევრ ადგილზეა. ეს ეფექტიანობა ეკონომიკურ ეფექტიანობასთან ერთად ეროვნული ამოცანაა. ეს

მსოფლიო დღეს

შეწყდეს უხეში გაპოხლომები!

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციის წარმომადგენლის პარიზის სელ-სენ-კლუს გარეუბანში სამხრეთ ვიეტნამის ორ მხარეს შორის გამართულ მოლაპარაკებაზე ამხილა საიგონის ადმინისტრაციის დელეგაციის პოზიცია, რომელიც, როგორც მან თქვა, მიმართავს „პროვოკაციულ განცხადებებს“.

ეს გამოქვეყნებულ განცხადებაში სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციის წარმომადგენელმა ჯერეგორიულად უარყო საიგონის ადმინისტრაციის დელეგაციის მტკიცებანი, რომელთა შესაბამისად საეჭვოდ არის მიჩნეული სამხრეთ ვიეტნამში ორი ადმინისტრაციის, ორი არმიის კონტროლის ორი ზონის არსებობა. „ყველასათვის ცნობილია, ხაზგასმით აღნიშნა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციის წარმომადგენელმა, — რომ პარიზის შეთანხმება ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ ხელმოწერილ იქნა სამხრეთ ვიეტნამში ორი ადმინისტრაციის, ორი არმიის, კონტროლის ორა-ზონისა და სამი ძირითადი პოლიტიკური ძალის აღიარების საფუძველზე“.

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაცია, აღნიშნულია განცხადებაში, მოითხოვს, რომ საიგონის ადმინისტრაციამ შეწყვიტოს პროვოკაციული მანევრები და უხეში გამოხდომები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ.

● ამგვეგი ფაქტები ● პროგლემები

საკვლევი და უცხოეთის ჭრილის საკვლევლოები იტყობინებიან

შეხვედრები ვარშავაში

ვარშავა, 28 დეკემბერი. (საკადესი). ვარშავაში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის მთავრობის სავაჭრო დელეგაცია სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის ნ. ს. პატოლიჩევის მეთაურობით. დელეგაციამ უნდა დაამთავროს მოლაპარაკება და ხელი მოაწეროს 1974 წლის ოქმს სსრ კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის საქონელბრუნვის შესახებ.

ნ. ს. პატოლიჩევი შეხვდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრს ტ. ოლეხოვსკის.

შემდეგ ნ. ს. პატოლიჩევი მიიღო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ პ. იაროშევიჩმა.

თურქეთი

მთავრობის კრიზისი

სტამბოლი, 28 დეკემბერი. (საკადესი). თურქეთის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ნაიმ თალუმ ამას წინათ პრეზიდენტ ფაჰრი ყორუთურქს გადასცა განცხადება იმის შესახებ, რომ უარს ამბობს შექმნას ახალი მთავრობა. ამით დამთავრდა თურქეთის პოლიტიკური კრიზისის კიდევ ერთი ეტაპი, რომელიც უკვე ორ თვეზე მეტია მიმდინარეობს.

პარლამენტის საყოველთაო არჩევნების შემდეგ, რომელიც 14 ოქტომბერს გაიმართა, პოლიტიკური ძალების განაწილებამ მეჯლისში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. 1965 წლიდან ხელისუფლების სათავეში მყოფმა სამართლიანობის პარტიამ, რომლის მთავრობა გადადგა 1971 წლის 12 მარტს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სამხედროთა ჩარევის შედეგად, სეროიზული მარცხი განიცადა, მეჯლისში მიიღო 450-დან მხოლოდ 149 ადგილი.

სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ არჩევნების შედეგად მიიღო დეპუტატის 185 მანდატი. იმასთან დაკავშირებით, რომ არსებული კანონმდებლობით პარტიას უფლება აქვს შექმნას თავისი მთავრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს ნახევარზე მეტი დეპუტატის მანდატები, მინისტრთა ახალი კაბინეტი კოალიციური უნდა ყოფილიყო.

კოალიციის შექმნა ქვეყნის პრეზიდენტმა ფაჰრი ყორუთურქმა დაავალა ბულენტ ეჯევითს, როგორც საპარლამენტო უმრავლესობის პარტიის ლიდერს. მაგრამ ობსტრუქციონისტული პოზიციის შედეგად, რომელიც მემარჯვენე პარტიებმა დაიკავეს, მის ცდებს წარმატება არ მოჰყოლია. ჩაფეშმა აღრეთვე სამართლიანობის პარტიის ბენერალური თავმჯდომარის სულეიმან დემირელის მეცადინეობა. მაშინ წამოყენებულ იქნა „ეროვნული კოალიციის“ იდეა, რომლის გარშემო უნდა გაერთიანებულიყო პარლამენტში წარმომადგენელი ყველა პარტია. ამ იდეის განხორციელებმა დაუვალა ნაიმ თალუს, საგანგებო მდგომარეობის პირობებში შექმნილი უკანასკნელი კაბინეტის მეთაურს.

მაგრამ მისი ცდაც ამაო გამოდგა.

„მამა-როგორი“

რაოდენ აღტაცებასა და გოცებას იწვევს ბავშვის პირველი კითხვა: „რატომ, მამიკო?!“.. მაგრამ შემდეგ ეს „რატომ?“ ისე მრავლდება, რომ ხშირად მშობლები იძულებული არიან მათზე პასუხის გაცემას საკმაოდ ბევრი დრო მოანდომონ. დროის დაზოგვის მიზნით ერთმა ინგლისელმა ინჟინერმა ბავშვებისათვის დაამზადა რობოტი სახელად „რობი“. მას შეუძლია პასუხი გასცეს ბავშვებს ნებისმიერ კითხვაზე, შეუძლია აგრეთვე ზღაპრების მოყოლა და სიმღერაც კი.

ᲫᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲢᲔᲥᲢᲝᲠᲘ

ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა იან ბურესმა და პავლე ხირსტმა შექმნეს ეგრეთწოდებული „ძილის დეტექტორი“. საკმარისია კაცმა წამნახევარზე მეტი ხნით ჩათვლიმოს, რომ აპარატი გამოაღვიძებს მას გაბმული ყურისწამღები ხმით, რომელსაც იგი გამოსცემს.

ᲛᲐᲜᲬᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲜᲫᲘ — ᲑᲐᲠᲝᲛᲔᲢᲠᲘ

საფრანგეთის გაზეთები წერენ, რომ მალე გასაყიდად გამოვა საინტერესო სიახლე — მანჭეტების საკინძი — ბარომეტრი. ამინდის ინდიკატორის როლს შეასრულებს ამ საიუველირო-მეტეოროლოგიური ნაწარმის ფერის ცვალებადობა: ცისფერი ფერი უჩვენებს კარგ ამინდს. მწვანე — ცვლილებად ამინდს, ხოლო წითელი — წვიმას.

ᲔᲡᲔᲪ ᲨᲔᲜᲘ „ᲡᲣᲡᲢᲘ ᲡᲚᲔᲘᲡ“

ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიურო სეროზულად შეშფოთებულია ქალების დანაშაულობათა სწრაფი ზრდის გამო. ამასთან ქალები ეუფლებიან „პროფესიებს“, რომლებიც ადრე მხოლოდ მამაკაცს „პროფესიად“ ითვლებოდა. მაგალითად, ქალების მიერ ჩადენილ ბანდიტურ თავდასხმათა რიცხვი უკანასკნელ ხუთ წელიწადში 80 პროცენტით გაიზარდა. „სუსტი სქესის“ წარმომადგენელთა მსხვერპლნი ძირითადად მამაკაცები არიან.

ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲣᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲔᲑᲝᲓ

ამერიკელ ფსიქოლოგთა ერთმა ჯგუფმა ასეთი ექსპერიმენტი — გამოკვლევა მოაწყო: 70.000 ეგზემპლარი ტირაჟით გამოშვებულ იქნა დ ქალაქის მცხოვრებლებს დაურიგდა ფირფიტა ქუნის ხმაურის, პოლიციური სირენის წივილის, მეტროპოლიტენის მატარებლების გრუხუნის ჩანაწერებით. გამოკითხულთა უმრავლესობამ უპასუხა, რომ ფირფიტაზე ჩაწერილია რაღაც „ახალმოდური მუსიკა“.

ᲥᲜ ᲞᲣᲚᲜᲔᲠᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲘ

ამერიკელი მილიონერის ცოლმა ფერი ოლივია პულნერმა გადაწყვიტა შეემოწმებინა ნამდვილად უჭირს თუ არა უმუშევარს სამუშაოს შოვნა, და, რა თქმა უნდა, ინკოგნიტოდ მუშაობა დამქირავებელ ბიუროებს მიაშურა. მან ათ ბიუროს მიმართა თხოვნით, მაგრამ ყველგან უარით (გამოიხატებოდა ეს ერთ-ერთ ბიუროში, ეს ბიუროს ხელმძღვანელობა ეუბნებოდა ასეთ ადამიანებს, ...) ...

ალ. ქუთათელის დაბადების 75 წლისთავი

განახლებათა ეპოქის მემატიანე

ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲡ — პოეტსა და პროზაიკოსს, დრამატურგსა და პოეტური თარგმნის ოსტატს, მრავალი ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური სტატიის ავტორს, ფართოდ ერუდირებულ საზოგადო მოღვაწეს ალექსანდრე ქუთათელს 75 წელი შეუსრულდა, თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიით კი — იგი საბჭოთა საქართველოს თანატოლია.

ჩვენი საუკუნის ოციანი წლების დამდეგს, როცა უმწვავესი სოციალური კონფლიქტებისა და მძაფრი კლასობრივი ბრძოლების ვითარებაში იბადებოდა ახალი საქართველო, ქართული ლიტერატურული პერიოდიკის ფურცლებზე გამოჩნდა ახალგაზრდა მწერლის — ალექსანდრე ქუთათელის სახელი.

მან იმთავითვე თვალსაჩინო ადგილი მოიპოვა ერთი მხრივ რევოლუციამდელი თაობის იმ სახელმოხვეჭილ მწერალთა გვერდით, რომლებიც უკვე ამ წლებში გაბედულად და სახმოლოდ გამოდიოდნენ გამარჯვებული რევოლუციის პოზიციებზე, ხოლო მეორე მხრივ მხატვრული სიტყვის იმ ახალგაზრდა ოსტატებს შორის, რომელთაც უდიდესი როლი დაუკისრათ ქართული საბჭოთა ლიტერატურის საკეთესო იდეურ-ესთეტიკური ტრადიციების გამომუშავებისა და დამკვიდრების საქმეში.

ოციანი წლების პირველი ნახევრის მის პოეტურ შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ანტიკური მითოლოგიის სიუჟეტებმა და მოტივებმა. ასეთმა ლექსებმა შეადგინა მთელი ლირიკული ციკლი „ანტიკა“, რომელშიც განსაკუთრებული გატაცებით და გზნებით არის დამუშავებული ის მითოლოგიური სიუჟეტები, რომლებიც დაკავშირებულია ძველს კოლხიდასთან — არგონავტების ლეგენდარული თავგადასავალი, მედეა და იასონის ტრაგიკული ურთიერთობის ისტორია და სხვ. უკვე ამ წლებში შექმნა ახალგაზრდა პოეტმა აწვეე სამყაროს მასალაზე ამოზეცენებული დრამატული მისტერია „ხრისას გველი“. ამ ნაწარმოებმა დიდი მოწონება და აღიარება მოიხვეჭა იმ წლების ლიტერატურულ და თეატრალურ წრეებში.

აღსანიშნავია, რომ პიესამ მიიპყრო კოტე მარჯანიშვილის ყურადღება. მან განიზრახა კიდეც ამ ნაწარმოების დადგმა, მაგრამ გარკვეული სარეპერტუარო-თეატრალური მოსაზრებით ეს განზრახვა განუხორციელებელი აღმოჩნდა. მაინც ამ პიესით გამოწვეული შთაბეჭდილება იმდენად მძლავრი იყო, რომ დიდი რეჟისორი შემდეგში განუწყვეტლივ ცოდვილი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ალ. ქუთათელის შემოქმედებითს ევოლუციას, ეხმარებოდა მასთან შემოქმედებითს თანამშრომლობას. მან მოასწრო კიდეც თავისი ცხოვრების მიწურულში ალ. ქუთათელის ერთი პიესის დადგმა. ეს იყო ქუთაისში კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებული თეატრის სცენაზე განხორციელებული სპექტაკლი „შუაღამემ გადირა“, რომელიც მძაფრი პოლიტიკური პათოსით, საზოგადოებრივად ღრმად აქტუალური აზრით იყო აღბეჭდილი.

ოციანი წლების მანძილზე ალ. ქუთათელის შემოქმედებითი ცხოვრება უბრალესად პოეზიის, კერძოდ, ლირიკული პოეზიის ჟანრში მიმდინარეობდა. ამდროინდელ მის ლექსებში მთავარია ძველისა და ახლის სამკვდრო-სასიცოცხლო ურთიერთბრძოლის პათოსი, დიადი ოქტომბრის, როგორც საკაცობრიო ისტორიის ეპოქალური მოვლენის ძლევამოსილების რწმენა, მსოფლიოს ხალხების სოციალური, ეროვნული განთავისუფლებისა და აღორძინების პერსპექტივის განცდა.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის მის ლექსებში დახატული სამყაროს განსაღებისათვის მებრძოლ ადამიანთა — პარტიზანების, წითელარმიელების, რევოლუციის ჯარისკაცების მკაფიო სახეები. პოეტური ფორმის მხრივ ალ. ქუთათელის ეს ლექსები ეხმაურებიან ჩვენი საუკუნის მოდერნული სალვეშო კულტურის მიღწევებსა და ნოვატორულ მისწრაფებებს. მაგრამ მშობლიური და მსოფლიო კლასიკური პოეზიის ტრადიციების ერთგულს, მას ერთი სტრიქონიც არ დაუწერია სოციალური აზრისა და დანიშნულებისაგან დაცლილი, განზრახულ გაბუნდოვანებული, გაუგებარი.

ოცდაათიანი წლების დამდეგიდან ალ. ქუთათელის შემოქმედებაში ძირითადი ადგილი მხატვრული პროზის ჟანრმა — ნოველამ, მოთხრობამ და რომანმა დაიკავა. მაგრამ მის სულიერ სამყაროში არასოდეს არ ჩამქრალა ლირიკული პოეზიისადმი მისწრაფება. იგი ავტორია ლექსთა რამდენიმე კრებულისა, რომელთა გაუთვალისწინებლად შეუძლებელია ჩვენი საუკუნის ქართული პოეზიის ისტორიის დაწერა. მისი პოეტური ხელწერის უპირველესი თავისებურება ის არის, რომ იგი უპირატესად მიმართავს ბუნებისა და ყოფის სურათების მხატვრობას, პოეტურ აღწერილობებს, პეიზაჟებს, გარემოს კოლორიტულ ჩანახატებს, რომლებიც ყოველთვის გაცოცხლებულია ლირიკული აზრით, განცდით, ემოციურობით. ალ. ქუთათელს აქვს საკუთარი ვრცელი და მრავალფეროვანი პოეტური სამყარო — ისეთი თემატური რკალები, რომლებიც მხოლოდ მისი საკუთარი პოეტური ხილვის, განცდის, წარმოსახვის კუთვნილებას შეადგენს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მის პოეზიაში განსაკუთრებით უხვად არის გაცოცხლებული და ამეტყველებული ანტიკური მითოლოგიის სიუჟეტები და პერსონაჟები. ალ. ქუთათელის პოეტური მსოფლშეგრძნების სპეციფიკური ბუნება განსაკუთრებული სიმკვეთრით არის გამოვლენილი მის ლირიკულ ციკლ „დედულეთში“. ალ. ქუთათელმა გაამდიდრა და გააფართოვა ქართული პოეზიის თემატური ჰორიზონტები მოძმე ბელორუსი ხალხის ცხოვრებისა და ბელორუსიის ბუნების ამსახველი ლექსებით, აგრეთვე განახლებული ევროპის, კერძოდ ჩეხოსლოვაკიის თანამედროვე და ისტორიული ცხოვრების მკაფიო სურათების შემცველი დიდი ციკლით. ალ. ქუთათელის პოეტურ შემოქმედებაზე მსჯელობისას არ შეიძლება არ გავიხსენოთ მისი საუკეთესო ლექსი „ჩალგადრები“, რომელიც დიდხანია შესულია ქართული და არა მარტო ქართული საბჭოთა პოეზიის ძვირფას მონაპოვართა ძირითად ფონდში. ჩვენს სამშობლოში ახალი ყოფაცხოვრების დამკვიდრებისადმი, წარსულის ბნელი ბადმონაშთების გვდომისადმი აღვლენილ ამ წრფელ საგალობელში ორიგინალურად არის შეხამებული და შერწყმული პოეტური მომთხრობელობის, აღწერილობის და ლირიკული გაჯერების ხელოვნება.

ოციანი და ოცდაათიანი წლების მიჯნაზე ალ. ქუთათელის შემოქმედებაში უპირველეს ადგილს მხატვრული პროზის ჟანრები იკავებენ. სწორედ ამ წლებში იწყება მისი უმთავრესი, ყველაზე მნიშვნელოვანი მხატვრული ქმნილების — მრავალტომიან რომან „პირისპირ“-ის გამოქვეყნება. მაგრამ როგორც უნდა იყოს ამ ეპოპეის ადგილი და მნიშვნელობა თანამედროვე ქართული მწერლობის განვითარებაში, მაინც შეიძლებელია მარტო ამ ერთი ნაწარმოებით შემოიფარგლოს ალ. ქუთათელის მთელი ბელეტრისტიკული შემოქმედების შეფასება. ამ ტეტრალოგიის გარდა ალ. ქუთათელის კალამს ეკუთვნის ჩვენი მწერლობის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში დაწერილი მრავალი ნოველა და მოთხრობა. სამამულო ომის წლებში ალ. ქუთათელმა გამოაქვეყნა ნოველების მთელი წიგნი, რომელშიც დახატულია საბჭოთა ხალხის ვბირული საბრძოლო შემართების მეტყველი სურათები, გამოკვეთილია სამშობლოს სიყოცხლისა და თავისუფლების დასაცავად თავგანწირულად მებრძოლ ადამიანთა ცოცხალი, ღრმა განწყობებითი ძალის მხატვრული სახეები.

ალ. ქუთათელის „მცირე ფორმის“ ბელეტრისტულ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ლირიკული ნოველა „აპესალომ და ეთერი“, რომელიც ორიგინალური კომპოზიციური აღნაგობით, სიუჟეტის მძაფრი დრამატულობით, თხრობის ემოციური დაძაბულობით ხასიათდება.

ბევრი რამ საყურადღებო შეიძლებოდა თქმულიყო და დაწერილიყო ამ ნაწარმოების, როგორც ყველა სხვა იმ ქმნილების შესახებ, რომლებითაც ალ. ქუთათელმა თავისი ნახევარსაუკუნოვანი ინტენსიური შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე გაამდიდრა და გაამრავალფეროვანა შობლიური ლიტერატურა. მაგრამ ალ. ქუთათელის უპირველეს და უდიდეს შემოქმედებითს მიღწევას, მის მიერ ქართული და მთელი მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის საგანძურში შეტანილს ყველაზე ძვირფას წვლილს წარმოადგენს ისტორიულ-რევოლუციური ჟანრის ოთხტომიანი რომანი ეპოპეა „პირისპირ“.

ეს რომანი საბჭოთა ეპოქის ქართული მხატვრული პროზის პირველხარისხოვან ქმნილებათა რიცხვს ეკუთვნის. იგი იყო და დღემდე რჩება ყველაზე ვრცელ მხატვრულ ტილოდ ისტორიულ-რევოლუციური თემატიკის ქართულ მწერლობაში. ამ წიგნში იმვითვი სისრულით და ყოველმხრივობით, ისტორიული სიმართლითა და პირუთვნელობით, მაღალი პროფესიული ოსტატობით, მხატვრული ნიჭიერებით და ღრმა იდეური გაჯერებით არის წარმოსახული ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების ერთ-ერთი ურთულესი პერიოდი — საქართველოში მენშევიკური რეჟიმის ხანმოკლე ბატონობის უმძიმესი წლები. ტეტრალოგია მოიცავს მთელ ეპოქას — რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობის დღიდან — ვიდრე იმ მეზნეებარე დღეებამდე, როცა ქართველმა მშრომელმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, თავისი ერთიანი თანამოძმის დიდი რუსი ხალხისა და სახელოვანი წვიანი არმიის დახმარებით რევოლუციური აჯანყების გზით დაამხო მენშევიკური დიქტატურა, განდევნა თავისი მიწაწყლიდან მენშევიკების ანტიხალხური ხელისუფლება და მის მიერ მოწვეული უცხოელი ინტერვენტები, საბოლოოდ დაიწია თავი სოციალურ ჩაგვრას, სამარადისოდ და სისხლხორცეულად დაუკავშირა საბჭოთის დიად სამყაროს და ძლევამოსილად შეუდგა ახალი, სოციალისტური ცხოვრების მშენებლობას.

რომანში დახატულია ეპოქის მთელი სინამდვილის სრული სურათი, უკიდურესად გამძაფრებული და გამახვილებული თვალთახედვით წარმართული.

მთელი წიგნი გამსჭვალულია მძაფრი პუბლიცისტური პათოსით, მებრძოლი პოლიტიკური აზრით, იგი დიდი შემეცნებით მნიშვნელობასთან ერთად ფლობს უეჭველ მაღალ ესთეტიკურ ღირებულებას.

თავისი მასშტაბითა და მნიშვნელობით ეს ნაწარმოები ქართულ ლიტერატურაში წარმოადგენს მ. გორკის „კლიმ სამგინის ცხოვრების“ თავისებურ ანალოგიას.

ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ რა დიდი ხარვეზი გვექნებოდა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ეს მრავალმხრივ საყურადღებო მხატვრული ქმნილება რომ არ დაწერილიყო.

ამჟამად ხანდაზმულობის მიუხედავად ალ. ქუთათელი აქტიურ შემოქმედებითს მოღვაწეობას განაგრძობს. სულ ახლახან გამოქვეყნდა პირველი წიგნი მისი ახალი ფსიქოლოგიური რომანისა „სათვალთვალო“, რომელიც ასახავს ქართველი ინტელიგენციის დღევანდელ ცხოვრებას და ეძღვნება რუსი და ქართველი ხალხების საუკუნეობრივი მეგობრობის დიდ თემას. „ფაუსტისა“ და „მეჯაჭვული პრომეთეოსის“ მთარგმნელი ახლაც განაგრძობს ნაყოფიერ მოღვაწეობას პოეტური თარგმანის ხელოვნების დარგში. როგორც მთელი თავისი სამწერლო ბიოგრაფიის მანძილზე, ახლაც იგი აქტიურად მონაწილეობს ჩვენი სამწერლო ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში, ჩვენი ლიტერატურული პრესის ორგანოებში.

ქართველი ხალხი, თანამოკალმენი და კოლეგები, მრავალრიცხოვანი მადლიერი მკითხველები საქართველოში და მთელ ჩვენს საბჭოთა სამშობლოში ხანგრძლივ სიცოცხლეს და ახალ დიდ შემოქმედებითს წარმატებებს უსურვებენ სახელოვან იუბილარს.

ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲫᲚᲔᲜᲢᲘ.

1973 — ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲗᲐ ᲬᲔᲚᲘ

ᲠᲝᲠᲘᲝᲓᲔ ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲨᲣᲠᲪᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲪᲘᲚᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲓᲐ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲗᲘᲗᲚᲐᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ, 1974 ᲬᲔᲚᲘ. ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲥᲕᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲛᲘᲡᲢᲐᲨᲔᲑᲐ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲛᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲨᲘ.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 28 დეკემბერი. (საკადესი). ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲛᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲡᲔᲚ-ᲡᲔᲜ-ᲙᲚᲣᲡ ᲒᲐᲠᲔᲣᲑᲐᲜᲨᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲝᲠ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲘᲒᲝᲜᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲐᲜ ᲗᲥᲐ, ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ „ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲣᲚ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲡ“. ᲐᲮᲚ ᲓᲐᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑᲘᲚ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲘᲒᲝᲜᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲛ ᲨᲔᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲒᲝᲛ.

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲡᲔᲚ-ᲡᲔᲜ-ᲙᲚᲣᲡ ᲒᲐᲠᲔᲣᲑᲐᲜᲨᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲝᲠ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲘᲒᲝᲜᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲒᲝᲛ.

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

ᲔᲡᲔᲪ ᲨᲔᲜᲘ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ“

1973 — ᲡᲘᲫᲕᲘᲠᲘᲡ, ᲘᲜᲤᲚᲐᲪᲘᲘᲡ, ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲬᲔᲚᲘ

ᲔᲒᲠᲔᲗᲬᲝᲓᲔᲒᲣᲚ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ“ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲖᲦᲕᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ.

**„ᲜᲘᲠᲓᲘᲡ“ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲤᲘᲜᲔᲚ

ქართული ცეკვის ამაგდარი

ოჯახში ყველანი ცეკვავდნენ და მღეროდნენ. სტუმარი იმდენამდე უხარიოდათ, რომ იცოდნენ — მამაპაპური თაფლარგის გარდა სახელდახელო სანახაობაც შემზადებოდა, რომელშიც ბავშვებს თავთავიანთი „როლები“ წინდაწინ დანაწილებული ექნებოდათ. ცეკვა და სიმღერა უპირატესად პატარა ჯანის კეთილნებობა გახლდათ და ისიც ამ საქმეს დიდი თავგამოდებით ეკიდებოდა. ბავშვის გულში ნაპერწკალი ნელ ცეცხლად იქცა, მერე გაღვივდა, აბრიალდა და სულს ჩაუქრობელი, სამუდამო ალი წაუკიდა.

მას შემდეგ მოდის და იწვის... თუმცა წვა ერთია, მეორე კი ის შუქი, რომელსაც კოცონი გამოსცემს. ამ დიდად, როცა კი პირველად სცენაზე ფეხი შედგა, მის სახელს ყურადღება არ მოჰკლებია. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ქართული ცეკვების ახალი სოლისტი თავისთავად საკვირველება არ იყო, მაგრამ თუ კი აქამდე აბესალომისა და მურმანის, მალხაზისა და თანდარუხის, კიაზისა და ალბოს მოსასმენად მოდიოდნენ, ამის შემდეგ ხალხი ერთი ახალი მოცეკვავის გულისთვისაც მოზღვავდა. ჯანო ბაგრატონი, მკაფიოდ თავისებური ხელოვანი, დიდად განსხვავდებოდა წინამორბედთაგან. თითქმის რაღაც ახალი ჩოდა სცენაზე მასთან ერთად.

რა იყო ეს ახალი?

ნუთუ ქართული ხალხური ცეკვა, რომლის ლინდური ფესვები ისე შორს არის გადაჭიმული, ერთი თუნდაც ზენიჟიური კაცის მოსვლამ სული ჰეწითა და ლაზათით დახატა. არა! მთელი საიუბილო სწორედ ის იყო, რომ ჯანო ბაგრატონის ცეკვა, ამ საოცარი სულიერი ქართული ფენომენის სიღრმეში წვდომა გახლდათ. ამა თუ იმ ცეკვისა და ცალკეული ელემენტის შესრულება მან ბაკალრად და მთლიანად დაუკავშირა და დაუშორჩილა ფოლკლორულ სწყისს, ანუ საკუთარ მიწას, ხალხის წარსულსა და აწყოს.

ხშირად უთქვამთ ჯანოს შესრულებს განუმეორებელ ბანერაზე, რომელიც ხალხური საწყისის მაცდურ ფარგლებს არ ირღვევს, მაგრამ ნიჭიერი კაცის თავისებურებით არის ალბეჭდილი. და სწორედ ეს არის ხელოვნების ყველაზე დიდი გამარჯვება. ამიტომ იყო, რომ ჯანო ბაგრატონმა სცენაზე გამოჩენისთანავე ყველას ყურადღება მიიპყრო და ეს ინტერესი ეარსკვლავზე ლაბადების სულაც არა ნიშნავდა. ამ გზაზე, როგორც ჯანო ბაგრატონი ამბობს ხოლმე, ერთადერთი ჭეშმარიტ გზაზე, იგი ცნობილმა ქართველმა ქორეოგრაფმა დავით ჯორჯიაშვილმა გამოიყვანა. მაღლიერებით იხსენებს დღესაც ამ საბელს ჯანო ბაგრატონი, თავიდს უპირველეს მასწავლებლად და ოსტატად თვლის.

ჯანო ბაგრატონის საშემსრულებლო ფანტაზიამ იგი (დრე თუ გვიან ეს ასე უნდა მოხდარიყო) ქორეოგრაფიის გზაზე გადაყვანა. მან ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ცეკვის წარსული, ეთნოგრაფიული ნიშნები, ჩასწვდა მის ბუნებას, ალღო იგრძნო იმ მხარეს, რომელს შეფერილობა შეიძლებოდა, და კერპად აქცია ის, რის ხელის ხლებაც ბრალად ქართული ხელოვნების, ანამედ მოლიანად ხალხის წინაშე დანაშაულს წარმოადგენს. ასეთია მაგალითად როგორც ქორეოგრაფიის შემოქმედებითი კონცეფცია და მისთვის ჯანოს არასდროს უღალატნია. მან პირველმა შექმნა და დადგა ცეკვები „ფარიკაობა“, „სამაია“, „მოხეური“, „ალვანური“, „ხევსურული“, საცეკვაო ხელოვნების ყოველ ამ ნიმუშისათვის ცალცალკე წერილი შეიძლებოდა მიგეძღვნა. ამ ცეკვებში ჩვენ ვხედავთ ქორეოგრაფს, რომლის მიზანია ტრადიციის პატივისცემა, ეთნოგრაფიული სიწმინდე, პლასტიკური ფანტაზია, ხალხური კოლორიტი...

არაერთი შემოქმედი მოუხიბლავს თბილისის განუმეორებელ, თავისებურ სიძველეს. კინტო და ყარაჩოღელი, ამქარი და ხელოსანი, მეარღნე და თულუხჩი. როგორც პოეტმა თქვა: „მე ამიხსნია ძველი ქარაგმა, ქორონიკონის კენტი და ლუწი, მაგრამ არ იცი, ჩვენმა ქალაქმა რა სურათები მოჰქარგა უწინ“... ჯანო ბაგრატიონის ქორეოგრაფიაში ამ სიძველეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აბა გავიხსენოთ, რა სიყვარულით, კეთილი იუმორით, ხალისით, ფერადოვნად და წარსულისადმი სევდით გვიხატავს „იგი „ძველი თბილისის სურათებს“.

ჯანო ბაგრატიონმა ერთ-ერთმა პირველმა აამეტყველა ცეკვაში სპორტული თემა. დღემდე არ დაუკარგავთ მომხიბვლელობა მის მიერ შექმნილ „ლაბტს“, „მარუალს“, „ფეხბურთს“...

ქორეოგრაფის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლთან, სადაც იგი დიდხანს და ნაყოფიერად მუშაობდა, მაგრამ მას ცხოვრებაში ერთი ლირიკული გადახვევაც ჰქონდა. დაახლოებით სამოდე ათეული წლის წინათ მან ქართული საესტრადო ორკესტრი ჩამოაყალიბა. ჯანო ბაგრატონი — ხელმძღვანელი, დირიჟორი, მომღერალი. ნახევრად პროფესიული, მაგრამ ნატიფი გემოვნების მუსიკოსთა მეშვეობით მან ისეთი კოლექტივი შექმნა, რომ მსმენელი და მაყურებელი არ დაჰკლებია. ორკესტრის რეპერტუარში უხვად იყო ქართული სიმღერები, რამაც ძირითადად განაპირობა წარმატება. ამ მხრივ ის ორკესტრი მრავალრიცხოვან შთამომავალთა მასწავლებლად დღესაც გამოდგებოდა. ყვავილების ქვეყანა, ჩოქვით შეკოდიარე... — მღეროდა ჯანო და ეს ხალხურად ქცეული სიმღერა დღესაც იმ უპირველესი შემსრულებლის ხმის ეშხს ატარებს.

...მაგრამ ჯანო ბაგრატიონს, როგორც ზემოთ ვთქვით, კერპისათვის არ უოლაქნია და დღესაც სიხარულით. ახალგაზრდულად მიდის იმ გზაზე, რომელსაც ქართული ცეკვა ჰქვია.

საქართველოს პროფკავშირთა კულტურის სასახლეში რესპუბლიკის მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ მ ა ს ზოგადოებრიობამ საზეიმოდ აღნიშნა გამოჩენილი ქართველი ქორეოგრაფის, რუსეთის რესპუბლიკის სახალხო არტისტის ჯანო ბაბრატიონის დაბადების სამოცი წლისთავი. საღამო შესავალი სტატიით გახსნა მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარემ, კომპოზიტორმა ო. გორდელმა, მოსსენება ჯ. ბაგრატიონის შემოქმედების შესახებ წაიკითხა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა გრ. ხერხულიძემ, ხიტკვებითა და მისალმებებით გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები ვ. გოძიაშვილი და ხ. დოლიძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ლ. ბერაძე, რუსეთის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნ. ბუნია, ქუთაისის, თელავის, გურჯაანის, ბათუმის, ზუგდიდის თეატრალური საზოგადოებრიობ ი ს წარმომადგენლნი.

ზ. რცხილაძე.

თბილისი. სურათზე: ი. ჭავჭავაძის პროსპექტის ერთ-ერთი კუთხე. ვ. ჩერკასოვის ფოტო.

თბილისის გავლით...

მოსოფლიოს საუკეთესო ავტომობილები გაისად ზაფხულში ერთად შეეჯიბრებიან ერთმანეთს ზემართთონის ტრასებზე. ისევე, როგორც ლონდონ-სიდნეისა და ლონდონ-მეხიკოს რალის დროს, გადარბენს სტატი მეეცემა ინგლისის დედაქალაქში.

ავტორასა გაიკლის ევროპის, აფრიკისა და აზიის ქვეყნებში. იგი მოიცავს ავრეთვე ჩვენი ქვეყნის ტერიტორიას (მარშრუტი: ერევანი-თბილისი-ოზურგეთი-ბორჯომი-ბრესტი). ამ უდიდეს ავტომარათონს ფინეში ექნება მიუნხენში — ფებრუარის 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალებში.

აღსანიშნავია, რომ წინა გადარბენებში კარგი ალსი აჩვენეს საბჭოთა მრბოლებმა, ხოლო „მოსკოვიბამ“ თავი ისახელეს როგორც სიმედო მანქანებმა. წინ არის ახალი მეტად ძნელი და საინტერესო გამოცდა.

ქალთა საკავშირო ჩემპიონატი

დაშნითა და... ნალმით

კალათბურთი

წინ „სპარტაკია“

ლენინგრადის „სპარტაკის“ კალათბურთელებმა (მწვრთნელი ს. ბელიჩინსკი) მოიგეს ქალთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე: ბოლო მაგჩში მათ დაამარცხეს ქვეყნის ჩემპიონი, რიგის ტტტ — 76:55. (36:24). ლენინგრადელებს, რომლებმაც მოაგერიეს 10 ქულა, მხოლოდ ერთი დამარცხება აქვთ — მოსკოვის ოლქის თანაკლუბელებთან. მომდევნო ადგილებზე არიან მოსკოვის ოლქის „სპარტაკი“ — 9 ქულა, სვერდლოვსკის „ურალმაში“ — 8, ალმა-ათის „ენერგეტიკტრი“ — 7, მოსკოვის „დინამო“ — 6, ვილნიუსის „კიბორქმტრისი“ — 5, კიევის „დინამო“ — 5, რიგის ტტტ — 4, მოსკოვის „სპარტაკი“ — 3, მოსკოვის „სერპ ი. მოლოტი“ — 3, ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ — 2, ფრუნზეს „სტროიტელი“ — 2.

მოჭიდრაკეს, რაოდენ მრავალმხრივიც უნდა იყოს იგი, აქვს თავისი მიდრეკილებები, ბოლკვეული ტიპის პოზიციებისაკენ მისწრაფება. როდესაც თამაში იხსნება და „მახლობელი დისტანციიდან ბრძოლა“ იწყება, ჩიბურდანიძე თავის სტიქიაშია. ასეთი ყაიდის მოჭიდრაკეებს კომბინაციური ფიქრების განსორციელების საშუალება არ უნდა მისცეს (თუმცა ამის თქმა გაცილებით უფრო იოლია, ვიდრე განხორციელება), „როდესაც ვილიმოროვიჩი ფიგურას სწირავს და შეტევას იწყებს, ჩათვალეთ, რომ ყველაფერი დამთავრებულია“ — ღიმილით გვითხრა ამასწინათ გამოჩენილმა იუგოსლავიელმა გროსმასტერმა ივკოვმა. სწორედ ეს სიტყვები გაგვახსენდა, როდესაც ჩიბურდანიძე-სტერნინ ა ს პარტიას ვადევნებდით თვალს.

ეს პარტია დაშნოსანთა შერკინებას წაგვაგდა. ჩიბურდანიძე უფრო ეფექტურად „ჩხვლეტდა“. ალეიხინის ნალმა ბოლო ზეიდ განახორციელა ორი მსუბუქი ფიგურის შეწირვა. თუმცა საქმე პირდაპირ შამათამდე არ მისულა, მაგრამ კომბინაციური შეხლა-შემოხლის შემდეგ სტერნინას აკლდა ხარისხი და პაიკი. მოსკოველმა მოჭადრაკემ საათი გაბაჭრა.

ტურის ცენტრალური პარტია ზვორიკინასა (თეთრებით) და გაფრინდაშვილს შორის უფრო „საარტილერიო დუელს“ დაეძღვანა. ზვორიკინა 50-იანი წლების დასასრულს მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტი იყო და თუმცა მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, დღესაც ჩინებულად თამაშობს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ შეხვედრის წინ იგი მეორე ადგილზე იყო. ცხადია, მსოფლიოს ჩემპიონი მხოლოდ ოფიციალურ ასპარეზზე მიისწრაფოდა. მთელი პარტია მან შეანინმნავად წარმართა. შუა თამაშში ცხადი გახდა, რომ გაფრინდაშვილის „ნაღმებმა“ ზვორიკინას „ციხე-სიმაგრეს“ ბზარი გაუჩინეს. ამასთან, მინსკელი მოჭადრაკე მძაფრ ცაიტნოტშიც აღმოჩნდა. ნონა ორი ეტლით შეიჭრა თეთრების განლაგებაში და ზედზედ მოიგო ორი პაიკი. თუმცა პარტია გადაადგო, მაგრამ მის განახლებას აზრი აღარა აქვს.

კოზლოვსკაია ზუსტად და მეთოდურად თამაშობდა გრინფელდთან. გაცვლითი ოპერაციების შემდეგ მას ზედმეტი პაიკი და უკეთესი პოზიცია დარჩა. კუს ძლიერი სვლით მან კიდევ უფრო დასუსტა შავი მეფის საფარი. „უბედურება მარტო როდი მოდის“. გრინფელდის ერთ შეცდომას მეორე მოჰყვა. მისი ეტლი მიწყდა ბრძოლის გადამწყვეტ უბანს. კოზლოვსკაიამ მყისვე შექმნა ლაზიერის მოგების მუქარა და გაიმარჯვა. ძნელი სათქმელია, რა ემართება ზატულოვსკაიას. დასაწყისში მან შეავიწროვა შულის ფიგურები და თითქოს უნდა მოეგო კიდეც. შულს ახლა „მეორე სუნთქვა გაეხსნა“ — იგი ძალიან მტკიცედ და შეუპოვრად იბრძვის. უარესი პოზიცია მან თანდათან აშკარად უკეთესამდე მიიყვანა. დასასრულ ზატულოვსკაიას „მოკითხა“ ძელმა მტერმა — ცაიტნოტმა. მან ვერ მოასწრო მოფიქრებისათვის განკუთვნილ დროში 40 სვლის გაკეთება, საათზე ალამი ჩამოვარდა და წაგება ჩაეთვალა. შემთხვევითობაა? არა, უფრო კანონზომიერება!

გუშინ გადადებული პარტიების დამთავრებისას გაფრინდაშვილმა მოუგო ზვორიკინას, ჩიბურდანიძე ფაინოთ დაამთავრა შეხვედრა მატვეევასთან, ასევე ყაიმით დასრულდა ბორისენკო-ზატულოვსკაიასა და მუღლენო-ლიუბარსკაიას შეხვედრე ბ ი. მოროზოვამ დაამარცხა პეიკო, ფომენკომ — კისლოვა, შულმა — ზვორიკინა.

9 ტურის შემდეგ 7,5 ქულით პირველ ადგილზეა კოზლოვსკაია, ექვსექვსი ქულა მოაგროვეს გაფრინდაშვილმა და შულმა.

ღღეს მორიგ მეათე ტურში გაფრინდაშვილი თეთრებით ეთამაშება ზატულოვსკაიას, ჩიბურდანიძე შავებით — პეიკოს, კოზლოვსკაიას მეტოქე იქნება მედიანიკოვა (თეთრები).

გ. გამრეკელი.



პირველი პროგრამით

31 დეკემბერი

10.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.15 — „ნაბატი გძირების სამყაროში“, 11.00 — „ჩვენი ქვეყანა ახალი წლის წინ“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „ციოლცავთ ახალ წელს, ბავშვებო!“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მუსიკალური მხატვრული ფილმი „მოვდიგართ და მოვიმღერით“, 13.15 — „კმეთილი იყოს შენი მოსვლა ამ ქვეყანაზე“, 13.45 — „ჩვენ — საბჭოთა“ — მუსიკალური ფილმი, 15.00 — მხატვრული ფილმი „ოჯახი როგორც ოჯახი“, 16.30 — „მოვდიკარ, მამულო!“ 17.15 — კინოპროგრამა, 17.55 — „საზღვარგარეთელი სტუმრები მოსკოვში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — „მუსიკა — 73“, 19.35 — „მესამე — გადამწყვეტი“ — სატელევიზიო ფილმი — საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები (პრემიერა), 20.35 — „მუსიკა—73“ (გაგრძელება), 21.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.45 — „სამეჯლისო ცეკვები“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „გახსენება“, 23.35 — „ბრავალგამიერ, ახალო წელო“!, 00.40 — ჩემი ქვეყანა — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი, 00.50 — „ციოლცავთ ახალ წელს, ამხანაგებო! მილოცავ საბჭოთა ხალხს (გადმოცემა მოსკოვიდან), 01.05 — ფერადი ტელევიზია „საახალწლო ცისფერ ეკრანზე“.

1 იანვარი

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — „ბავშვებს ცხოველების შესახებ“ (გადმოცემა ლენინგრადიდან), 11.45 — „ეკრანზეა ყინულის დედოფალი“, 12.30 — „ბუნის რეკოლუციის 15 წელი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.20 — „ვინ აანთებს ნაძვის ხეზე ვარსკვლავს“, 15.30 — „ცირკი, ცირკი, ცირკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.30 — „ჭიოლცავთ ახალ წელს“ — საესტრადო კონცერტი, 17.00 — ნახატი ფილმი, 17.30 — „იუმორის სალონი“, 18.00 — „უგრეელ ბოშათა სიმღერები და ცეკვები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — „სპორტული მიმოხილვა“, 18.50 — სოხუმის საესტრადო ანსამბლ „რაიდას“ კონცერტი, 19.10 — „ჩვენ — პოეტები საქართველოსი“, 19.40 — „იმღერებული ოჯახები“, 20.30 — „წარსულმ წლების კინოფირები“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — სატელევიზიო გასართობი პროგრამა — „ცისფერი ეკრანი“.

2 იანვარი

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45. — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: პოლონური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „შესვენებამდე 0:1“ (I სერია. პრემიერა), 11.15 — ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა; „ნეზნაიკასა და მისი მეგობრების თავგადასავალი“, 11.45 — ფერადი ტელევიზია „კინომოგზაურობის კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — კინოკონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.05 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: საქართველოს ფერადი ტელევიზია: 1. მოკლემეტრაჟიანი მუსიკალური ფილმი — „ჩვენს ზეიმზე“, 2. „მულტკვრანი“, 19.15 — ფერადი ტელევიზია. ამერიკული სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ლესი“ (I სერია. პრემიერა), 19.40 — „საახალწლო სიმღერები“, 20.10 — „გაგიცნოთ პროფესიული კალათბურთი“, 21.00 — კონცერტი მსიარულ ტალღაზე“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საჭადრაკო მიმოხილვა, 22.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „12 სკამი“.

3 იანვარი

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: პოლონური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „შესვენებამდე 0:1“ (II სერია. პრემიერა), 11.15 — ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა „ნეზნაიკასა და მისი მეგობრების თავგადასავალი“, 11.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — ქართული მხატვრული ფილმი „მხიარული რომანი“, 16.25 — უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექციები: ქიმიაში, 17.10 — სხრკ ისტორიაში, 18.05 განცხადებები, 18.15 — მოსწავლეთათვის — ზამთრის არდადეგების გამო: ფერადი ტელევიზია. ტელესტუდია „ორლეონოკის“ საკონცერტო დარბაზი, 19.00 — ნახატი ფილმი, 19.15 — ფერადი ტელევიზია. ამერიკული სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ლესი“ (II სერია. პრემიერა), 19.40 — „მსოფლიო ღღეს“, 19.55 — კინონარკვევი, 20.10 — „სახელოვანი სპორტსმენები“ — ლევან თუდიაშვილი, 20.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 „სამართლის ცოდნა მასებს“, 21.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია: 1. მოკლემეტრაჟიანი ფილმი „თანამემამულენი უკიდურეს ჩრდილოეთში“ 2. მუსიკალური ფილმი „ფერი და მუსიკა“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „საჭადრაკო მიმოხილვა“, 22.35 — მხატვრული ფილმი „ახალგაზრდები“, 23.55 — ახალი ამბები.

4 იანვარი

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: პოლონური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „შესვენებამდე 0:1“ (III სერია. პრემიერა), 11.10 — ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. „ნეზნაიკასა და მისი მეგობრების თავგადასავალი“, 11.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მხატვრული ფილმი —„დამშვიდობება პეტერბურგთან“, 17.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.00 — უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 18.45 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.10 — ფერადი ტელევიზია. ამერიკული სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ლესი“ (III სერია. პრემიერა). 19.40 — კინონარკვევი, 20.00 — „ჩვენი თანამედროვე“, 20.15 — „ნერგი მომავლისა“, 20.40 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია — „გამარჯობა, მეგობარო!“ — საბჭოთა კავშირის და უნგრეთის ერთობლივი მუსიკალური პროგრამა, 23.30 — ახალი ამბები.

5 იანვარი

10.05 — ფერადი ტელევიზია ტანვარჯიში ყველასათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.23 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: პოლონური სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „შესვენებამდე 0:1“ (IV სერია. პრემიერა), 11.00 — კინოპროგრამა, 11.30 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — ფერადი ტელევიზია ბავშვებისათვის. „თოჯინების მაღაზიაში“, 12.30 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის“, 13.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „კინოდოკუმენტალისტის თვალით“, 13.45 — კინოკომედია „ოთხთა გული“, 15.15 — ბავშვებისათვის „ჯადოსნური ეკრანი“, 15.45 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.30 — კინონარკვევი, 16.45 — „ჯანმრთელობა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.15 — კინონარკვევი, 17.40 — ფერადი ტელევიზია „ცირკის ჩირადღნები“, 18.30 — სტუდიაში — პოლიტიკური მიმოხილველი ი. ჭუკოვი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — კინონარკვევი, 19.15 — ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა „ნეზნაიკასა და მისი მეგობრების თავგადასავალი“, 19.50 — კინონარკვევი, 20.00 — „კანონიერების სადარაჯოზე“, 20.15 — კინონარკვევი, 20.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — „მწერალი და ცხოვრება“, 21.10 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ბალზაკის დიდი სიყვარული“ (პირველი სერია. პრემიერა), პოლონეთისა და საფრანგეთის ერთობლივი ნაწარმოები, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მუსიკალური პროგრამა, 23.05 — ახალი ამბები.

6 იანვარი

10.05 — დიღის ვარჯიში ბავშვებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები, 10.30 — მოსწავლეთათვის — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 12.00 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „შესვენებამდე 0:1“ (V სერია. პრემიერა), 12.30 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 14.00 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი — „მსურველს შეუძლიათ ჩაეწეროს“ (პრემიერა), 15.10 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო „ჩვენო ნაძვის ხეო“, 16.30 — „კინოფიშა“, 17.00 — კონცერტი, 17.35 — „წელი ახალი — ბაზრუნავი ახალი და ძველი“, 18.05 — კინონარკვევი, 18.15 — „საერთაშორისო პანორამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.45 — კინონარკვევი, 19.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19. 15 — ფერადი ტელევიზია მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა „ნეზნაიკასა და მისი მეგობრების თავგადასავალი“, 19.45 — „ბუნერგლობა და უკონტროლობა, დროა ბოლო მოვუღოთ მათ“, 20.05 — ფერადი ტელევიზია „კინომოგზაურობის კლუბი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.05 „ ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ბალზაკის დიდი სიყვარული“ (II სერია. პრემიერა) პოლონეთისა და საფრანგეთის ერთობლივი ნაწარმოები, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „საჭადრაკო მიმოხილვა“, 22.35 — კონცერტი.



29 დეკემბერი

პირველი პროგრამით

16.10 — დოკუმენტური ფილმი „საბჭოთის ხალხთა კავშირი“. პრემიერა (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — მოსწავლეთათვის, სატელევიზიო ჟურნალი „ოგონიოკი“, 17.30 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „პალიტრა“, 18.30 — „კონტინენტები, ქვეყნები, პრობლემები, 18.50 — „ვიქტორინა ხანძარსაწინააღმ დ ე გ ო თემაზე“, 19.10 — „მწერალი და ცხოვრება“, 19.30 — „მეზაიეთა შრომის ზეიმი“, 20.35 — „ტელეფონი, კავშირგაბმულობა, პრობლემები“, 20.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — „ოქროპირი“ სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საჭადრაკო მიმოხილვა, 22.35 — საესტრადო პანორამა, 23.05 — ახალი ამბები, 23.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „კინოობიექტივი“

მეორე პროგრამით

18.05 — კინოპროგრამა, 18.50 — მხატვრული ფილმი „სახანძრო მანქანის მყიდველები“, 20.05 — ახალი საესტრადო ფირფიტები, 20.30 — დოკუმენტური ფილმი „საყვარელი როლი“, 21.50 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „პაუზა“, 22.30 — საჭადრაკო მიმოხილვა, 22.35 — საესტრადო პანორამა, 23.05 — ახალი ამბები, 23.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის „კინოობიექტივი“.



30 დეკემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.20 — ტანვარჯიში, 06.35 — ქართული ხალხური მუსიკა, 08.00 — „გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს ქორნერი“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — „პიონერთა დაფიონი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — „მუსიკალური რადიოფიში“, 12.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „იყო ერთი ბიჭი“, 13.00 — ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებლეთა კონცერტი, 14.00 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 14.30 — ვ. კნუშევიცკი. ფანტაზია მ. ბლანტერის სიმღერების თემებზე, 14.40 —„ვეფხისტყაოსანი“. მხატვრული კითხვა, 15.00 — — „მეგობრობის კონცერტი“. მოძმე აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების მშრომელთათვის, 15.30 — „ხუთწლედის მოწინავეები“, 15.45 — პოპულარული ჭარბული სიმღერები და რომანსები, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.00 — „მსოფლიოს ერთი კვირის ამბები“, 17.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო“, 18.10 — „მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში“, 18.25 — საესტრადო კონცერტი, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.20 — ზ. ფალიაშვილი. საცეკვაოები ოპერიდან, „აბესალომ და ეთერი“, 20.30 — „ჩვენი გადაეიმების ჯადოსანი“, 21.30 — ვ. მოცარტი. „ლამის პატარა სერენადა“. ფ. შოპენი. პირველი საფორტეპიანო კონცერტი, 23.30 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

28 დეკემბერი

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — აპრაკუნე ჰიმჰიმელი; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩემი შეშლილი ძმა (განახლებული დადგმა).

გაზეთ „კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 31 დეკემბერს.

ჩვენ ვისაუბრეთ, ეს ქოვილეთ

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

ეროვნული

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61. პროპაგანდის — 99-22-93 მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21, წერილებისა — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60463 უ 08642

საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.

ოპერაციამ რომ წარმატებით ჩაიარეს...

**ბერძენეთის დემოკრ